



**BOSCH**

**Register** your  
new device on  
MyBosch now and  
get free benefits:  
[bosch-home.com/  
welcome](https://bosch-home.com/welcome)



# ჩასაშენებელი ღუმელი

VBD554FS0

[ka] მომხმარებლის სახელმძღვანელო და  
ინსტალაციის ინსტრუქციები

# სარჩევი

## მომხმარებლის სახელმძღვანელო

1	უსაფრთხოება .....	2
2	საკუთრების ზიანის თავიდან აცილება.....	4
3	გარემოს დაცვა და ეკონომია .....	5
4	გაცნობა.....	7
5	აქსესუარი.....	9
6	პირველ გამოყენებამდე .....	11
7	მართვის საფუძვლები.....	11
8	მბრუნავი შამფური.....	12
9	ტაიმერის ფუნქციები .....	13
10	დაცვა ბავშვებისგან.....	14
11	წმენდა და მოვლა.....	14
12	თაროები .....	18
13	მოწყობილობის კარი.....	18
14	ხარვეზების აღმოფხვრა .....	20
15	განკარგვა.....	21
16	კლიენტთა მომსახურების სამსახური .....	21
17	თქვენ ყველაფერი გამოგივათ!.....	22
18	მონტაჟის ინსტრუქცია.....	25
18.1	უსაფრთხოება მონტაჟის დროს .....	25

## 1 უსაფრთხოება

დაიცავით უსაფრთხოების ტექნიკის მითითებები.

### 1.1 ზოგადი მითითებები

- წაიკითხეთ ინსტრუქცია საფუძვლიანად.
- შეინახეთ ინსტრუქცია, ისევე როგორც პროდუქტის სხვა ინფორმაციები შემდგომი გამოყენებისათვის ან შემდგომი მეკატრონისათვის.
- ტრანსპორტირებისას მოწყობილობის დაზიანების შემთხვევაში, ნუ ჩართავთ მას.

### 1.2 დანიშნულებისამებრივი გამოყენება

ეს დანადგარი მხოლოდ ჩაშენებისათვის არის განკუთვნილი. ყურადღება მიაქციეთ სპეციალურ სამონტაჟო ინსტრუქციას. მხოლოდ კვალიფიცირებულ ხელოსანს შეუძლია ელქტრო მოწყობილობის შტეკერის გარეშე შეერთება. არასწორი ჩართვის გამო დაზიანების შემთხვევაში საგარანტიო ვალდებულებები კარგავს ძალას.

მოწყობილობა გამოიყენეთ მხოლოდ:

- საკვების და სასმელების მოსამზადებლად.
- კერძო საკუთრებაში მოსახმარებლად სახლის პირობებსა და დახურულ სივრცეებში.
- ზღვის დონიდან არა უმეტეს 2000 მ სიმაღლეზე.

არ გამოიყენოთ მოწყობილობა:

- გარე თაიმერით ან დისტანციური მართვის პულტით.

### 1.3 გამოყენების სპექტრის შეზღუდვა

ამ მოწყობილობის გამოყენება ნებადართულია 8 წელზე უფროსი ასაკის ბავშვებისათვის და ფიზიკურად, სენსორულად ან გონებრივად შეზღუდული უნარის მქონე ადამიანებისათვის ან გამოცდილებისა თუ ცოდნის არ მქონე პირთათვის, მეთვალყურეობის შემთხვევაში და/ან მოწყობილობის უსაფრთხო მოხმარების შესწავლის შემდეგ, თუ მათთვის გასაგებია არასწორ მოხმარებასთან დაკავშირებული რისკები. ბავშვების თამაში მოწყობილობასთან დაუშვებელია.

გაწმენდითი სამუშაოები, ისევე როგორც დანადგარის ტექნიკური მომსახურება დაუშვებელია განხორციელდეს ბავშვების მიერ, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ასაკი არის 15 წელზე მეტი და იმყოფებიან მეთვალყურეობის ქვეშ. მოარიდეთ 8 წლამდე ასაკის ბავშვები მოწყობილობას და მის გაყვანილობებს.

### 1.4 უსაფრთხო მოხმარება

ყოველთვის დარწმუნდით, რომ აქსესუარები სწორად არის დამონტაჟებული სამუშაო კამერაში.  
→ "აქსესუარი", გვერდი 9

#### **⚠ გაფრთხილება – ხანძრის საშიშროება!**

ღუმელში შენახული აალებადი საგნები შესაძლოა ააღდნენ.

- ▶ არასოდეს შეინახოთ აალებადი საგნები ღუმელში.
- ▶ თუ მოწყობილობიდან გამოდის კვამლი, გამორთეთ ის ან მცველი და კარი დახურული დატოვეთ, რათა ჩააქროთ შესაძლო ხანძარი.

თავისუფალი საკვების ნარჩენები, ცხიმი და შეწვისას დარჩენილი წვენი შეიძლება ააღდნეს.

- ▶ ექსპლუატაციამდე მოაშორეთ უხეში დაბინძურებები სამუშაო კამერას, გამაცხელებელი ელემენტების ზედაპირს და აქსესუარებს.

მოწყობილობის კარის გაღებისას, ჰაერის ნაკადი წარმოიქმნება. საცხობი ქაღალდი შესაძლოა ცხელ ელემენტებთან შეხებაში მოვიდეს და ააღდნეს.

- ▶ წინასწარი შეცხელებისას და მომზადების პროცესში, აუცილებლად დაამაგრეთ პერგამენტის ქაღალდი აქსესუარებში.
- ▶ დაჭერით პერგამენტის ქაღალდი შესაბამის ზომაზე და მოათავსოთ მასზე ჭურჭელი ან გამოსაცხობი ფორმა.

#### **⚠ გაფრთხილება – დამწვრობის საშიშროება!**

მოწყობილობა და მისი ელემენტები ცხელდება გამოყენებისას.

- ▶ ფრთხილად იყავით, არ შეეხოთ ცხელ ელემენტებს.
- ▶ 8 წლამდე ბავშვებს ეკრძალებათ მოწყობილობის გამოყენება.

აქსესუარი ან ჭურჭელი ძლიერ ცხელდება.

- ▶ ცხელი აქსესუარი ან ჭურჭელი, ყოველთვის ქვაბისათვის განკუთვნილი ჩვარის მეშვეობით გამოიღეთ ღუმელიდან.

ალკოჰოლური ორთქლი შესაძლოა ცხელ ღუმელში ააღდნეს. მოწყობილობის კარი შესაძლოა მოძვრეს. შესაძლოა გამოვიდეს ცხელი ორთქლი და ალი.

- ▶ კერძში დაამატეთ მხოლოდ მცირე რაოდენობით სპირტის შემცველი სასმელი.

- ▶ არ გააცხელოთ განუზავებელი სპირტი ( $\geq 15\%$  ალკ.) (მაგალითად, კერძში დამატებისას).
- ▶ ფრთხილად გახსენით მოწყობილობის კარი.

გამოსაწევი მიმმართველები ცხელდება მოწყობილობის მუშაობის პროცესში.

- ▶ არ შეეხოთ გამოსაწევ მიმმართველებს, დაელოდეთ გაგრილებას.
- ▶ შეეხეთ გამოსაწევ მიმმართველებს მხოლოდ ხელთათმანებით.

#### **⚠ გაფრთხილება – დამწვრობის საშიშროება!**

წვდომადი ნაწილები ოპერირებისას ცხელდება.

- ▶ არასოდეს შეეხოთ ცხელ ნაწილებს.
- ▶ მოარიდეთ ბავშვები.

მოწყობილობის კარის გაღებისას, შესაძლოა ძლიერი ორთქლი გამოვიდეს. ორთქლი, ტემპერატურის მიხედვით, შესაძლებელია არ იყოს ხილვადი.

- ▶ ფრთხილად გახსენით მოწყობილობის კარი.
- ▶ მოარიდეთ ბავშვები.

ცხელ ღუმელში, წყალი ცხელ ორთქლად იქცევა.

- ▶ არასოდეს ჩაახრთ წყალი ცხელ ღუმელში.

#### **⚠ გაფრთხილება – დაზიანების მიღების საშიშროება!**

მოწყობილობის კარის დაკაწრული შუშა შეიძლება გასკდეს.

- ▶ არ გამოიყენოთ აგრესიული აბრაზიული საწმენდი საშუალებები ან ლითონის საფხეკი ღუმელის კარის შუშის გასაწმენდათ, რადგან მას შეუძლია გაჩხაპნოს ზედაპირი.

მოწყობილობას და მის ხელმისაწვდომ ნაწილებს შესაძლოა ბასრი კიდეები ჰქონდეს.

- ▶ დაიცავით სიფრთხილე გამოყენების და გაწმენდისას.
- ▶ შეძლებისდაგვარად გამოიყენეთ დამცავი ხელთათმანები.

მოწყობილობის კარის ანჯამები, კარის გაღებისა და დახურვისას მოძრაობენ და შესაძლებელია მასში რაიმე მოყვეს.

- ▶ ნუ მოეჭიდებით ანჯამების არეში.

მოწყობილობის კარის ზოგიერთ ნაწილებს ბასრი კიდეები აქვთ.

- ▶ გამოიყენეთ დამცავი ხელთათმანები.

**⚠ გაფრთხილება – ელექტრული შოკის საშიშროება!**

არაკვალიფიცირებული შეკეთებისას მოწყობილობა შესაძლოა გახდეს საფრთხის წყარო.

- ▶ მოწყობილობის შეკეთება ნებადართულია მხოლოდ კვალიფიცირებული სპეციალისტისთვის.
- ▶ მოწყობილობის შეკეთებისთვის შეიძლება მხოლოდ ორიგინალური ნაწილების გამოყენება.
- ▶ იმ შემთხვევაში, თუკი დაზიანდება აპარატის დენთან მისაერთებელი სადენი, საფრთხის თავიდან აცილების მიზნით ის უნდა შეიცვალოს მწარმოებლის ან მისი კლიენტთა მომსახურების ცენტრის ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის მიერ.

საფრთხის შემცველია ქსელის შეერთების დაზიანებული იზოლაცია.

- ▶ ქსელის გაყვანილობა, არასოდეს შეიყვანოთ კონტაქტში სითბოს წყაროებთან ან მოწყობილობის ცხელ ნაწილებთან.
- ▶ ქსელის გაყვანილობა, არასოდეს შეიყვანოთ კონტაქტში ბასრ კიდეებთან ან კანტებთან.
- ▶ ქსელის გაყვანილობა არასოდეს გადალუნოთ, დაჭეჭოთ ან შეცვალოთ.

სინოტივის შეჭრას, ელექტრო შოკის გამოწვევა შეუძლია.

- ▶ დანადგარის საწმენდად არ გამოიყენოთ ორთქლით მწმენდავი ან მაღალი წნევით საწმენდი საშუალებები.

საფრთხის შემცველია დაზიანებული მოწყობილობა ან დაზიანებული ქსელის კაბელი.

- ▶ არასოდეს გამოიყენოთ დაზიანებული მოწყობილობა.

- ▶ დაუკავშირდით კლიენტთა მომსახურებას. → გვერდი 21

**⚠ გაფრთხილება – გაგუდვის საშიშროება!**

ბავშვებმა შესაძლოა შესაფუთი მასალა თავზე ჩამოიცივან და შიგნით გაეხვიონ, რაც დაზიანების საფრთხეს ქმნის.

- ▶ შესაფუთი მასალა ბავშვებს მოარიდეთ.
- ▶ არ მისცეთ ბავშვებს უფლება ითამაშონ შესაფუთი მასალებით.

ბავშვებს შეუძლიათ პატარა ნაწილები შეისუნთქონ ან გადაყლაპონ და ამით დაიზიანდონ.

- ▶ მოარიდეთ ბავშვებს პატარა ნაწილები.
- ▶ არ მისცეთ ბავშვებს უფლება პატარა ნაწილებით ითამაშონ.

**1.5 ჰალოგენური ნათურა**

**⚠ გაფრთხილება – დამწვრობის საშიშროება!**

ღუმელის ნათურები ძალიან ცხელდება. გამორთვის შემდეგ, გარკვეული დროის მანძილზე, მაინც არსებობს დამწვრობის საფრთხე.

- ▶ მინის თავსახურს ნუ შეეხებით.
- ▶ გაწმენდისას, მოერიდეთ კანთან კონტაქტს.

**⚠ გაფრთხილება – ელექტრული შოკის საშიშროება!**

ნათურების შეცვლისას გაითვალისწინეთ, რომ პატრონაში კონტაქტები ძაბვის ქვეშაა.

- ▶ ნათურის შეცვლის წინ დარწმუნდით, რომ მოწყობილობა გამორთულია, რათა თავიდან აიცილოთ ელექტრული დენით დაზიანება.
- ▶ დამატებით გამორთეთ მცველი მცველების კოლოფში.

**2 საკუთრების ზიანის თავიდან აცილება**

**2.1 ზოგადი**

**ყურადღება!**

გაცხელებულ სამუშაო კამერაში არსებულ ალკოჰოლის ალებს შეუძლიათ აალება და მოწყობილობის შეუქცევადი დაზიანება. დეფლაგრაციის შედეგად მოწყობილობის კარი შესაძლოა გამოსკდეს გამოყოფილი ალებით. კარის მინები შეიძლება გატყდეს და გაიფანტოს

ფრაგმენტებად. წარმოშობილ უარყოფით წნევას შეუძლია გამოიწვიოს შიდა ზედაპირების დეფორმაცია სამუშაო კამერაში.

- ▶ არ გააცხელოთ განუზავებელი სპირტი ( $\geq 15\%$  ალკ.) (მაგალითად, კერძში დამატებისას),  $120\text{ }^{\circ}\text{C}$ -ზე მაღალ ტემპურატურაზე მუშაობისას, წყალი სამუშაო კამერის ძირზე აზიანებს ემალს.
- ▶ ნუ ჩართავთ სამუშაო რეჟიმს, თუ სამუშაო კამერის ძირზე დაგროვდა წყალი.
- ▶ მოწყობილობის ჩართვამდე გაწმინდეთ სამუშაო კამერის ძირი წყლისგან.

ობიექტებს, რომლებიც იმყოფებიან სამუშაო კამერის ფსკერზე 50 °C-ზე უფრო მაღალ ტემპერატურაზე, შეუძლიათ გამოიწვიონ სითბოს აკუმულაცია. ცნობისა და შეწვის დრო დაირღვევა, რაც გამოიწვევს ემალის დაზიანებას.

- ▶ სამუშაო კამერის ფსკერზე არ მოათავსოთ აქსესუარები, ნებისმიერი სახის ფოლგა ან პერგამენტის ქაღალდი.
- ▶ სამუშაო კამერის ფსკერზე არ მოათავსოთ ჭურჭელი, თუ დაყენებულია 50 °C-ზე მაღალი ტემპერატურა.

წყალი, რომელიც იმყოფება გაცხელებულ სამუშაო კამერაში, იწვევს ცხელი ორთქლის წარმოქმნას. ტემპერატურის შეცვლის შედეგად შესაძლებელია მოწყობილობის დაზიანება.

- ▶ არასოდეს ჩაასხათ წყალი ცხელ ლუმელში.
- ▶ არ განათავსოთ ჭურჭელი წყლით სამუშაო კამერის ფსკერზე.

ნესტი, რომელიც დროთა განმავლობაში შესაძლოა დაგროვდეს სამუშაო კამერაში, შეიძლება გახდეს ჟანგის გამომწვევი მიზეზი.

- ▶ ყოველი მომზადების დასრულების შემდეგ გაწმინდეთ კონდენსატი. მაღალ ტემპერატურაზე მუშაობის რეჟიმის შემდეგ, ლუმელი უნდა გაცივდეს დახურული კარით რეჟიმით.
- ▶ არ შეინახოთ, სველი საკვები პროდუქტები ხანგრძლივი ვადით, დახურულ ლუმელში.
- ▶ არ გამოიყენოთ სამუშაო კამერა პროდუქტების შესანახად.
- ▶ ლუმელის კარებში არაფერი ჩააყოლოთ.

მოსამზადებელი ლანგარიდან გადმოწვეთილი ხილის წვენი ლაქებს ტოვებს, რომლის მოშორებაც ვეღარ ხორციელდება.

- ▶ წვნიანი ხილის ღვეზელების გამოცხობისას მთლიანად არ შეავსოთ ლანგარი.
- ▶ შეძლებისდაგვარად, ღრმა უნივერსალური ტაფა გამოიყენეთ.

ცხელ ლუმელში ჭურის საწმენდი საშუალების გამოყენება იწვევს მინაქრის დაზიანებას.

- ▶ არასოდეს გამოიყენოთ თბილ ლუმელში ჭურის საწმენდი საშუალებები.
- ▶ შემდგომ გაცხელებამდე საფუძვლიანად მოაშორეთ ლუმელიდან და მოწყობილობის კარიდან ნარჩენები.

როდესაც რეზინის ძლიერად არის დაბინძურებული, ლუმელის მუშაობისას კარები კარგად არ იხურება. სიახლოვეში მდგარი ავეჯი შეიძლება დაზიანდეს.

- ▶ იზოლაცია ყოველთვის სუფთად შეინახეთ.
- ▶ არ გამოიყენოთ მოწყობილობა, თუ დაზიანებულია ან მოხსნილია მამჭიდროებელი.

მოწყობილობის კარზე ჯდომის ან მიყრდნობის მცდელობამ შეიძლება დააზიანოს იგი.

- ▶ აკრძალულია მოწყობილობის კარზე დადგომა, დაჯდომა, დაჭერა ან მასზე დაყრდნობა.
- ▶ არ ჩამოდოთ მოწყობილობის კარებზე ჭურჭელი ან აქსესუარი.

მოწყობილობის ტიპიდან გამომდინარე, აქსესუარებს შეუძლიათ გაკაწრონ მოწყობილობის კარს მინა მისი დახურვისას.

- ▶ აქსესუარები, ლუმელში ყოველთვის ბოლომდე შეაცურეთ.

ალუმინის კილიტას კარის მინაზე შეუძლია გამოიწვიოს მინის ფერის შეცვლა.

- ▶ ალუმინის კილიტას გამოყენებისას სამუშაო კამერაში თვალი ადევნეთ, რათა ის არ ეხებოდეს კარის მინას.

## 3 გარემოს დაცვა და ეკონომია

### 3.1 შეფუთვის გადაგდება

შესაფუთი მატერიალი ეკოლოგიურად უსაფრთხოა და შესაძლებელია განმეორებითი გამოყენება.

- ▶ თითოეული შემადგენელი ნაწილი დამოუკიდებლად განკარგეთ შესაბამისი ტიპის მიხედვით.

### 3.2 ენერჯის დაზოგვა

ამ მითითებების გამოყენების შემთხვევაში თქვენი დანადგარი ნაკლებ ენერჯიას გამოიყენებს.

მოწყობილობის წინასწარი გაცხელება საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მითითებულია რეცეპტში ან რჩევებში პარამეტრების შესახებ.

→ "თქვენ ყველაფერი გამოვივათ!", გვერდი 22

- მოწყობილობის წინასწარი გაცხელების არქონა, საშუალებას იძლევა დაზოგოთ 20 %-მდე ენერჯია.

გამოიყენეთ მუქი, შავი ლაქით დაფარული ან ემალირებული საცხობი ფორმები.

- ისინი განსაკუთრებით კარგად შთანთქავენ სითბოს.

მომზადების პროცესში სცადეთ იშვიათად გახსნათ მოწყობილობის კარი.

- ამ გზით სამუშაო კამერაში ტემპერატურა უკეთ არის დაცული და მოწყობილობის დამატებითი გათბობა არ არის საჭირო.

რამდენიმე კერძი ერთი მეორის შემდეგ ან ერთდროულად გამოაცხეთ.

- პირველი ღვეზელის გამოცხობის შემდეგ სამუშაო კამერა რჩება ცხელი. რის ხარჯზეც მცირდება მეორე ღვეზელის გამოცხობის დრო.

ხანგრძლივი მომზადებისას მოწყობილობა გამოართეთ მომზადების დროის დასრულებამდე 10 წუთით ადრე.

- დარჩენილი სითბო საკმარისია, რათა კერძი ბოლომდე მომზადდეს.

გამოიყენებელი აქსესუარები აუცილებლად ამოიღეთ ლუმელიდან.

- არ ღირს ძალიან დიდი ოდენობით აღჭურვილობის გაცხელება.

ღრმად გაყინული პროდუქტი გაალღვეთ მომზადების წინ.

- ამგვარად დაზოგავთ ენერჯიას, რომელიც საჭიროა გასალღვობად.

**ka** გარემოს დაცვა და ეკონომია

**შენიშვნა:**

მოწყობილობის სამუშაოდ საჭიროა:


- ლოდინის რეჟიმში ჩართული დისპლევით  
მაქს. 1 ვტ
- ლოდინის რეჟიმში გამორთული დისპლევით  
მაქს. 0,5 ვტ

## 4 გაცნობა

### 4.1 საკონტროლო პანელი

მართვის პანელის მეშვეობით თქვენ შეგიძლიათ თქვენი მოწყობილობის ყველა ფუნქციის დაყენება და მუშაობის რეჟიმის შესახებ ინფორმაციის მიღება.

**შენიშვნა:** დანადგარის ტიპის შესაბამისად, შესაძლოა ინდივიდუალური ნაწილები განსხვავდებოდეს სურათისაგან, მაგ. ფერი და ფორმა.



<b>1</b>	ფუნქციის ამომრჩეველი	ფუნქციის ამომრჩეველის მეშვეობით დააყენეთ წვის ტიპი ან სხვა ფუნქციები. თქვენ შეგიძლიათ გადაატრიალოთ ფუნქციის ამომრჩეველი ნულოვანი პოზიციიდან მარცხნივ ან მარჯვნივ.
<b>2</b>	დისპლეი	დისპლეიზე გამოჩნდება აქტიური ფუნქციების სიმბოლოები და დროის ფუნქციები.
<b>3</b>	ტემპერატურის ამომრჩეველი	ტემპერატურის ამომრჩეველით, დააყენეთ ტემპერატურა წვის ტიპისათვის. ტემპერატურის რეგულატორი შეგიძლიათ გადაატრიალოთ, როგორც მარცხნივ ან მარჯვნივ.
<b>4</b>	სენსორული ველები	სენსორული ველები გამოიყენება სხვადასხვა ფუნქციების პირდაპირი რეგულირებისთვის.

### დილაკები

დილაკებით შეიძლება უშუალოდ აირჩიოთ სხვადასხვა ფუნქციები.

**შენიშვნა:** თუ დილაკს ფუნქცია არ გააჩნია, გაისმება სიგნალი.

სიმბოლო	დილაკი	განმარტება
🔔	ტაიმერის ფუნქციები	ტაიმერის, ხანგრძლივობის, დასრულების და დღის დროის დაყენება
—	მინუსი	დაყენებული მნიშვნელობის შემცირება
+	პლუსი	დაყენებული მნიშვნელობის გაზრდა
🔔	დაცვა ბავშვებისგან	ბავშვების უსაფრთხოების ბლოკირების აქტივაცია და დეაქტივაცია მზადყოფნის რეჟიმში

**დისპლეი**

დისპლეიზე ხედავთ პარამეტრების მიმდინარე მნიშვნელობებს და მონიშვნის ვარიანტებს. მნიშვნელი, რომელსაც თქვენ დააყენებთ ფოკუსირებულია. მნიშვნელობა აისახება თეთრი შრიფტით მუქ ფონზე.

სიმბოლო განმარტება	
△	ტაიმერი
↳	ხანგრძლივობა
→	დასრულება
მმ:მმ	დროის მაჩვენებელი
⚡	გათბობის ინდიკაცია

**ტემპერატურის ამომრჩეველი**

ტემპერატურის ამომრჩეველით, დააყენეთ ტემპერატურა.

**გათბობის ინდიკაცია**

მოწყობილობის გათბობისას დისპლეიზე ჩნდება ⚡ და ქრება გაცხელების პაუზების დროს. თუ თქვენ იყენებთ მოწყობილობის წინასწარ გაცხელებას, შედგით კერძი სამუშაო კამერაში, როდესაც გაცხელების ინდიკატორი პირველად ჩაქრება.

**შენიშვნა:** თერმული ინერციის წყალობით შეიძლება ნაჩვენები ტემპერატურა ცოტათი განსხვავდებოდეს ქურაში არსებულისაგან.

**4.2 წვის ტიპები და ფუნქციები**

იმისათვის, რომ თქვენ შეძლოთ, სასურველი კერძისათვის სწორი წვის ტიპის შერჩევა, ჩვენ აგიხსნით განსხვავებებსა და გამოყენების სფეროებს.

სიმბოლო	წვის ტიპი ან ფუნქცია	ტემპერატურა ან გაცხელების დონე	გამოყენება
🔥	სწრაფი გაცხელება	50-250 °C	ღუმელის სწრაფი გაცხელებისათვის.
🔥	3D-ცხელი ჰაერი	50-250 °C	კერძების მომზადება 1-2 დონეებზე. ღუმელის უკანა კედელზე მდებარე წრიული გამაცხელებლის ვენტილატორები სითბოს თანაბრად ანაწილებენ.
🔥	ვენტილაცია	50-250 °C	ორცნობილების და ნამცხვრების ერთ დონეზე მომზადება. ვენტილატორები გამაცხელებელი ელემენტის სიცხეს ღუმელში თანაბრად ანაწილებენ.
🔥	ქვედა წვა	50-250 °C	კერძების მზადყოფნამდე მიყვანა. სიცხე მოდის ქვემოდან.
🔥	გრილი, დიდი ფართობი	50-250 °C	ბრტყელი პროდუქტების, მაგ.: სტეიკი, ძეხვეული ან ტოსტების მომზადება გრილზე. გრილის პანელის ქვეშ მთლიანი ფართობი ცხელდება.
🔥	ვენტილაციური გრილი	50-220 °C	ხორცის, ფრინველისა და მთლიანი თევზის შეწვა ან მოზრაწვა. ვენტილატორი ცხელ ჰაერს ატრიალებს საკვების გარშემო. <b>შენიშვნა:</b> გრილის კონვექციის გამოყენებისას ტემპერატურა დააყენეთ არა უმეტეს 220 °C.
🔥	ნაზი ზედა/ქვედა წვა	50-250 °C	არჩეული კერძების (მაგ. ხორცი, ბოსტნეული) ნაზი მომზადებისთვის ერთ დონეზე წინასწარი გაცხელების გარეშე. წვის ტიპი არ არის შესაბამისი კერძებისათვის, რომლებიც მომზადებისას უნდა ამოფუვდნენ (მაგ. პური).
🔥	ზედა/ქვედა სიმხურვალე	50-250 °C	ნამცხვრების, მოზრაწულების და მჭლე ჟარკოს მომზადება. სითბო თანაბრად მოდის ზემოდან და ქვემოდან.
🔥	მბრუნავი შამფური	50-250 °C	ჟარკოე, ხორცის რულეტი და ფრინველი

**4.3 ღუმელი**


სამუშაო კამერის ფუნქციები აადვილებს მოწყობილობის ექსპლუატაციას.

**თაროს სიმაღლეები**

ღუმელს გააჩნია თაროს 5 სიმაღლე.



აქსესუარები ყოველთვის ბოლომდე შეაცურეთ რათა კარის შუშას არ შეეხოს. აქსესუარები სწორი მიმართულებით შედგით ლუმელში.



**თვითმწმენდი ზედაპირები**

სამუშაო კამერის უკანა და გვერდითა კედლები თვითმწმენდადია. მოწყობილობაში თვითმწმენდად ზედაპირებს აქვთ ფოროვანი კერამიკული საფარი და ბუსუსოვანი ზედაპირი. მოწყობილობის მუშაობისას ცხიმის მხეფები შეწვისას ან გრილზე მომზადებისას იშთანთქება თვითმწმენდადი ზედაპირების მიერ და იწმინდება.

**სამუშაო კამერის განათება**

მუშაობის უმეტესი რეჟიმების დროს სამუშაო კამერის განათება ჩაირთობა რეჟიმის ჩართვის შემდეგ. რეჟიმის დასრულების შემდეგ სამუშაო კამერის განათება გამოირთობა. სამუშაო კამერის განათების ჩასართავად როდესაც მოწყობილობა გამორთულია, ფუნქციის ამომრჩეველი დააყენეთ ნებისმიერ ფუნქციაზე, გარდა . დარწმუნდით, რომ ტემპერატურის რეგულატორი დგას ნულოვან პოზიციაზე.

**ვენტილატორი**

ვენტილატორი საჭიროების შემთხვევაში ირთვება და ითიშება. ცხელი ჰაერი გამოდის მოწყობილობის კარიდან.

**ყურადღება!**

მოწყობილობის გადაცხელების თავიდან ასაცილებლად, არ ჩახერგოთ სავენტილაციო ხვრელები.

▶ არ ჩახერგოთ სავენტილაციო ხვრელები.

იმისათვის რომ გამოყენების შემდეგ ლუმელი სწრაფად გაგრილდეს, ვენტილატორი აგრძელებს მუშაობას გარკვეული დროის მანძილზე.

**კონდენსატის წარმოქმნა**

აქ გაიგებთ, თუ როგორ წარმოიქმნება კონდენსატი, როგორ აცილოთ თავიდან მოწყობილობის დაზიანება და როგორ შეიძლება კონდენსატის წარმოქმნის შემცირება.

სამუშაო კამერაში პროდუქტების მომზადებისას შესაძლოა წარმოიქმნას ბევრი წყლის ორთქლი. რადგან თქვენი მოწყობილობა განსაკუთრებით ენერგოეფექტურია, მუშაობის დროს გარეთ გამოიყოფა ბევრი სითბო. ტემპერატურის დიდი ცვალებადობის გამო მოწყობილობის შიდა ზედაპირსა და მის გარე დეტალებს შორის კარზე, მართვის პანელზე ან გვერდ მდგომ ავეჯზე შესაძლებელია კონდენსატის წარმოქმნა.

კონდენსატის წარმოქმნა – ჩვეულებრივი მოვლენაა, რომელიც განპირობებულია ფიზიკის კანონებით. დაზიანებების თავიდან აცილების მიზნით, გაწმინდეთ წარმოქმნილი კონდენსატი. თუ კონდენსატი გროვდება კონდენსატის გადინების ლიობში, მოაშორეთ კონდენსატი ღრუბლის მეშვეობით. კონდენსატის გადინების ლიობის გადავსების გამო შეიძლება დაზიანდეს ჩასაშენებელი ავეჯი. გააშრეთ მოწყობილობა ღია კარით.

წინასწარი გაცხელება ხელს უწყობს კონდენსატის წარმოქმნის შემცირებას.

**5 აქსესუარი**


გამოიყენეთ ორიგინალი აქსესუარები. ისინი ადაპტირებულია მოცემული მოწყობილობისთვის.

**შენიშვნა:** აქსესუარმა, გაცხელებისას შეიძლება დეფორმაცია განიცადოს. ფორმირება არ ახდენს გავლენას ლუმელის ფუნქციონირებაზე. როდესაც დანადგარი გაგრილდება, დეფორმირება გაქრება.

მოწოდებული აქსესუარები შესაძლოა განსხვავდებოდეს მოწყობილობის მოდელის მიხედვით.

**აქსესუარები**


გისოსი



**გამოყენება**

- ჭურჭელი
- ნამცხვრის ფორმა
- ხორცი, მაგალითად: შემწვარი ან გრილზე
- ღრმად გაყინული პროდუქტები

უნივერსალური ტაფა



- ნოყიერი ორცხობილები
- ნამცხვრები
- ღრმად გაყინული პროდუქტები
- ჟარკოეს დიდი ნაჭრები

**რჩევა:** უნივერსალური ლანგარი შეიძლება გამოიყენოთ ცხიმის შესაგროვებლად, თუ გრილზე ამზადებთ უმუალოდ გისოსზე.

**აქსესუარები**


საცხობი ლანგარი



**გამოყენება**

- ნამცხვრის ლანგარი
- პატარა ორცხობილები

ტელესკოპური თაროს ნაკრები



გამოსაწევი მიმმართველები აქსესუარების სრულად გამოღების საშუალებას იძლევა.


მბრუნავი შამფური



- ხორცის ნაჭრების შეწვა
- მსხვილი ფრინველის შეწვა

**შენიშვნა:** გამოიყენეთ მხოლოდ ემალირებულ ლანგართან კომბინაციაში.

უსაფრთხოების შტიფტები



კავების ბლოკირება.

**შენიშვნა:** არ გადაყაროთ ფიქსირების შტიფტები. შეინახეთ ფიქსირების შტიფტები საიმედო ადგილას. ფიქსირების შტიფტები გამოიყენება მოწყობილობის კარის მოხსნისას ან კარის შუშის წმენდისას.

**5.1 სხვა აქსესუარები**

სხვა აქსესუარების შეძენა შეგიძლიათ კლიენტთა მომსახურების სამსახურში ან ინტერნეტ-მაღაზიაში. ფართო არჩევანს თქვენს ელექტრო მოწყობილობაზე ნახავთ ჩვენს ბუკლეტებში ან ინტერნეტში. [www.bosch-home.com](http://www.bosch-home.com)

აქსესუარები განსხვავდება მოწყობილობის მიხედვით. ყიდვისას ყოველთვის მიუთითეთ პროდუქტის ზუსტი ნომერი (E-Nr.) თქვენი ელექტრო მოწყობილობის.

თქვენი მოწყობილობისთვის დაშვებული აქსესუარები შეიძლება იხილოთ ჩვენს ინტერნეტ-მაღაზიაში ან კლიენტთა დახმარების სამსახურში.

სხვა აქსესუარები	გამოყენება
გისოსი	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ ჭურჭელი</li> <li>▪ ნამცხვრის ფორმა</li> <li>▪ ხორცი, მაგალითად: შემწვარი ან გრილზე</li> <li>▪ ღრმად გაყინული პროდუქტები</li> </ul>
საცხობი ლანგარი	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ ნამცხვრის ლანგარი</li> <li>▪ პატარა ორცხობილები</li> </ul>
უნივერსალური ტაფა	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ ნოყიერი ორცხობილები</li> <li>▪ ნამცხვრები</li> <li>▪ ღრმად გაყინული პროდუქტები</li> <li>▪ ჟარკოეს დიდი ნაჭრები</li> </ul>
ტელესკოპური თაროს ნაკრები	ტელესკოპური თაროს ნაკრები ერთი დონისათვის

**5.2 ჩამაგრების ფუნქცია**


ჩამაგრების ფუნქცია, გამოღებისას გადმოყირავების თავიდან ასარიდებლად არის. აქსესუარები შეგიძლიათ გამოდგათ ღუმელიდან დაახლოებით ნახევრად, ფიქსაციამდე. სწორედ გადაადგილეთ აქსესუარები სამუშაო კამერაში, რათა მუშაობდეს გადაყირავებისგან დაცვა.

**5.3 აქსესუარების დაყენება სამუშაო კამერაში**

1. მოატრიალეთ აქსესუარი ისე, რომ ჭრილი იმყოფებოდეს უკან და მიმართული იყოს ქვემოთ.
2. აქსესუარი ყოველთვის ორმაგი ჩხირის შორის, ერთ და იგივე სიმაღლეზე შეაყურეთ.


გისოსი

ღია მხარე მოწყობილობის კარისკენ უნდა იყოს და მოხრა ქვემოთ — მიუთითებდეს.



ლანგარი მაგ. უნივერსალური ან ჩვეულებრივი


აქსესუარის დაქანება წინ **b**, მოწყობილობის კარისკენ უნდა იყოს მიმართული.



3. აქსესუარების მიმმართველებიან დონეზე შესადგმელად, გამოსწიეთ მიმმართველები.

გისოსი ან ლანგარი

განათავსეთ აქსესუარები ისე, რომ იმყოფებოდნენ გამოსაწევი მიმმართველის **a** შვერილის უკან .



**შენიშვნა:** სრულად გამოწეულ მდგომარეობაში მიმმართველი ფიქსირდება. გამოსაწევ მიმმართველებს ოდნავ დააჭირეთ უკან ლუმელში შესადგამად.

4. სრულად შედგით აქსესუარები ისე, რომ ისინი არ შეეხოს მოწყობილობის კარს.

**შენიშვნა:** გამოირეთ ლუმელიდან აქსესუარები და ჭურჭელი, რომელიც მომზადების მანძილზე არ გჭირდებათ.

## 6 პირველ გამოყენებამდე

დააყენეთ პარამეტრები პირველი ექსპლუატაციისათვის. გაწმინდეთ დანადგარი და აქსესუარები.

### 6.1 საათის დაყენება

შერთების შემდეგ, მაჩვენებელზე აციმციმდება 12:00. დააყენეთ საათი.

1. + ან —-ით, დააყენეთ საათი.
2. ⏸ დაჭერა.

**შენიშვნა:** დაყენებული დროის ამოწურვის შემდეგ, საათი ავტომატურად შეინახება.

### 6.2 მოწყობილობის გაწმენდა პირველ გამოყენებამდე

პირველი გამოყენების წინ, გაწმინდეთ ლუმელი და მისი აქსესუარები.

1. ამოიღეთ აქსესუარები სამუშაო კამერიდან და მოხსენით ჩამოსაკიდი ელემენტები. → გვერდი 18
2. სრულად გამოიღეთ ლუმელიდან შეფუთვის ნარჩენები, როგორც არის პენოპლასტი.
3. ზოგიერთი დეტალები დაფარულია ნაკაწრებისგან დამცავი ლენტით. მოაშორეთ ნაკაწრებისგან დამცავი ლენტი.

4. გაწმინდეთ მოწყობილობა რბილი ნოტიო ნაჭრით.
5. გარეცხეთ სამუშაო კამერა საპნიანი ხსნარით.
6. რათა ახალ მოწყობილობას სუნი მოაშოროთ, გააცხელეთ ცარიელი დახურული მოწყობილობა.
7. ფუნქციის ამომრჩეველი მოატრიალეთ **☐**.
8. დააყენეთ მაქსიმალური ტემპერატურა. მოწყობილობის პირველი გაცხელებისას სამუშაო კამერიდან შეიძლება ისმოდეს ხრამუნი.
9. მოწყობილობის გაცხელებისას გაანიავეთ სამზარეულო.
10. 1 საათის შემდეგ გამორთეთ მოწყობილობა.
11. დაელოდეთ მოწყობილობის გაგრილებას.
12. სამუშაო კამერის გაცივების შემდეგ, გარეცხეთ გლუვი ზედაპირები საპნიანი ხსნარით.
13. დააყენეთ ჩამოსაკიდი ელემენტები. → გვერდი 18
14. საჭიროების შემთხვევაში, გაწმინდეთ კარის ფანჯრები. → გვერდი 18

### 6.3 აქსესუარების გაწმენდა

- ▶ საგულდაგულოდ გაწმინდეთ აქსესუარები რბილი ქსოვილით და საპნიანი ხსნარით.

## 7 მართვის საფუძვლები

### 7.1 მოწყობილობის ჩართვა

1. ფუნქციის გადართვლის მეშვეობით წვის ტიპის დაყენება.

2. ტემპერატურის ამომრჩეველით აირჩეთ ტემპერატურა.
- ✓ მოწყობილობა დაიწყებს გაცხელებას.

## ka მბრუნავი შამფური

**შენიშვნა:** ტემპერატურის კონტროლი აჩვენებს გაცხელების აქტუალურ დონეს.

### 7.2 წვის ტიპის და ტემპერატურის შეცვლა

1. ფუნქციის გადამრთველის მეშვეობით შეცვალეთ წვის ტიპი.

2. ტემპერატურის ამომრჩეველი შეცვალეთ ტემპერატურა.


### 7.3 მოწყობილობის გამორთვა

- ▶ ფუნქციის ამომრჩეველი ნულოვან პოზიციაზე დააყენეთ.


## 8 მბრუნავი შამფური

### 8.1 მოამზადეთ მბრუნავი შამფური

1. ჩამოაღეთ სამაგრი შამფურს და სახელური მიახრანეთ.



2. შედგით ჟარკოე შამფურის ცენტრში.
3. დაამაგრეთ ჟარკოე სამაგრებით.
4. დააფიქსირეთ სამაგრები ნაკეჭნი თავით ხრახნებით.




### 8.2 მბრუნავი შამფურის დამაგრება


**⚠ გაფრთხილება – დამწვრობის საშიშროება!**  
მოწყობილობა და მისი ელემენტები ცხელდება გამოყენებისას.

- ▶ ფრთხილად იყავით, არ შეეხოთ ცხელ ელემენტებს.
- ▶ 8 წლამდე ბავშვებს ეკრძალებათ მოწყობილობის გამოყენება.


1. ჩასვით შამფურის ჩარჩო საკუთხავ მილისში.



2. დააყენეთ შამფური ჩარჩოზე და მოხსენით სახელური.



3. დააყენეთ უნივერსალური ლანგარი 1-ელ დონეზე და ჩასვით შამფური ძრავის სამაგრში.



4. ჩამოწვეთილი ცხიმის უკეთესი შეგროვებისთვის უნივერსალურ ტაფაში მცირე ოდენობით წყალი ჩაასხით.
5. დახურეთ მოწყობილობის კარი.

### 8.3 მბრუნავი შამფურის ჩართვა

**შენიშვნა:** შამფურის გამოსაყენებლად წინასწარ გააცხელეთ მოწყობილობა  წვის ტიპით. დააყენეთ შამფური გაცხელების ფუნქციის ჩართვამდე .

1. ფუნქციის ამომრჩეველი დააყენეთ ზე.
2. ტემპერატურის დაყენება.

### 8.4 შამფურის გამოღება

**⚠ გაფრთხილება – დამწვრობის საშიშროება!**  
 მოწყობილობა და მისი ელემენტები ცხელდება გამოყენებისას.  
 ▶ ფრთხილად იყავით, არ შეეხოთ ცხელ ელემენტებს.

- ▶ 8 წლამდე ბავშვებს ეკრძალებათ მოწყობილობის გამოყენება.
- 1. მოწყობილობის კარის გაღება.
- 2. ნელ-ნელა გამოდგით უნივერსალური ლანგარი, რათა სამუშაო კამერიდან ნახევრად იყოს გამოსული.
- 3. სრულად გამოიღეთ უნივერსალური ლანგარი სამუშაო კამერიდან და დადეთ სამუშაო ზედაპირზე.
- 4. მიახრახნეთ შამფურს სახელური.
- 5. შამფური ჩარჩოდან სახელურით მოხსენით.

## 9 ტაიმერის ფუნქციები

### 9.1 დროში განსაზღვრული ფუნქციების მიმოხილვა

აქ მოყვანილია გაცხელების ფუნქციის მიმოხილვა.

სიმბოლო	დროის ფუნქცია	გამოყენება
	ტაიმერი	ტაიმერი მუშაობს სამზარეულოს საათის მსგავსად. ის სხვა დროის ფუნქციებისაგან დამოუკიდებლად მუშაობს და მოწყობილობაზე ზეგავლენას არ ახდენს.
	დრო	სანამ წინა პლანზე, სხვა ფუნქციები არ მიმდინარეობს, თქვენი მოწყობილობის ეკრანზე საათი იქნება წარმოჩენილი.
	ხანგრძლივობა	დაყენებული ხანგრძლივობის შემდეგ, მოწყობილობა ავტომატურად წყვეტს ექსპლუატაციას.
	დასრულება	მიუთითეთ ხანგრძლივობა და დასრულების სასურველი დრო. მოწყობილობა ავტომატურად ჩაირთვება ისე, რომ ექსპლუატაცია სასურველი დროისათვის დასრულდეს.

### 9.2 ხანმოკლე ტაიმერის დაყენება

ხანმოკლე ტაიმერს არ აქვს გავლენა ღუმელის ფუნქციონირებაზე.

**შენიშვნა:** ტაიმერის დაყენება შეგიძლიათ 1 წუთიდან 23 სთ და 59 წუთამდე დროით. 10 წუთამდე ხანგრძლივობისათვის, დონეები შესაძლებელია დააყენოთ 30 წამიანი ინტერვალებით, 10 წუთიდან ერთ საადემდე წუთოვანი ინტერვალებით, ხოლო მის შემდეგ 5 წუთიანი ინტერვალებით.

1. დაჭერა.
- ✓ ანათებს .
2. + და – მეშვეობით დააყენეთ საჭირო ხანგრძლივობა.
- ✓ დროის ამოწურვის შემდეგ ისმის ხმოვანი სიგნალი.

#### შენიშვნები

- დარჩენილი დროის შესაცვლელად დააჭირეთ და + ან – მეშვეობით შეცვალეთ დარჩენილი დრო.
- ტაიმერის გაუქმებისთვის დააყენეთ დარჩენილი დრო ნულზე.

#### სიგნალის ხმის გამორთვა

- ▶ ხმოვანი სიგნალის გამოსართავად დააჭირეთ ნებისმიერ ღილაკს.

**შენიშვნა:** მოკლე დროის შემდეგ, სიგნალი ავტომატურად დასრულდება.

### 9.3 საათის დაყენება

საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ შეცვალოთ დღის საათი, მაგ.: ზაფხულის დროიდან ზამთრის დროზე გადასვლისას.

**მოთხოვნა:** მოწყობილობა გამორთულია.

1. გეჭირეთ , სანამ არ დაიწყებს ციმციმს საათი.
2. + და – მეშვეობით დააყენეთ დღის დრო.

### 9.4 ხანგრძლივობის დაყენება

თქვენი მოწყობილობა საშუალებას გაძლევთ თქვენი კერძისთვის დააყენოთ მომზადების დრო. ამგვარად, თავიდან აირიდებთ მომზადების ხანგრძლივობის უნებლიე გადაჭარბებას და არ მოგიწევთ სხვა სამუშაოების შეწყვეტა, ექსპლუატაციის დასრულებისათვის.

1. დააყენეთ ტემპერატურა და წვის ტიპი.
- ✓ მოწყობილობა ჩაირთვება.
2. დააჭირეთ ორჯერ.
3. + და – მეშვეობით დააყენეთ მომზადების დრო. ხანგრძლივობის დაყენება შეგიძლიათ 1 წუთიდან 23 სთ და 59 წუთამდე დროით. ხანგრძლივობა ერთ საათამდე რეგულირდება 1 წუთიანი ბიჯით, ხოლო საათზე მეტი 5 წუთიანი ბიჯით.
- ✓ ანათებს .

#### რეჟიმის დასრულება

მომზადების დროის ამოწურვისას ისმის ხმოვანი სიგნალი. მოწყობილობა შეწყვეტს გაცხელებას.

## ka დაცვა ბავშვებისგან

1. ხმოვანი სიგნალის გამოსართავად დააჭირეთ ნებისმიერ ღილაკს. მოკლე დროის შემდეგ, სიგნალი ავტომატურად დასრულდება.
2. ფუნქციის ამომრჩეველი ნულოვან პოზიციაზე დააყენეთ.

### 9.5 დასრულების დაყენება

რეჟიმი ჩაერთობა დაყენებულ დროზე, თქვენს მიერ არჩეულ დროის მომენტში.

1. დააყენეთ ტემპერატურა და წვის ტიპი.
  - ✓ მოწყობილობა ჩაერთვება.
2. ☹ დააჭირეთ ორჯერ.
3. + და – მეშვეობით დააყენეთ მომზადების დრო. ხანგრძლივობის დაყენება შეგიძლიათ 1 წუთიდან 23 სთ და 59 წუთამდე დროით. ხანგრძლივობა ერთ საათამდე რეგულირდება 1 წუთიანი ბიჯით, ხოლო საათზე მეტი 5 წუთიანი ბიჯით.
  - ✓ ანათებს |→|.

4. ☹ დაჭერა.
5. + ან – მეშვეობით დააყენეთ დასრულების დრო. ღილაკზე პირველი დაჭერისას ეკრანზე გამოჩნდება რეკომენდირებული მნიშვნელობა. რეკომენდირებული მნიშვნელობა გამომდინარეობს მიმდინარე დროისა და ხანგრძლივობიდან.
  - ✓ ანათებს →|.
  - ✓ ეკრანზე გამოჩნდება დასრულების დრო. მოწყობილობა გადაერთვება ლოდინის რეჟიმში.

### რეჟიმის დასრულება

მომზადების დროის ამოწურვისას ისმის ხმოვანი სიგნალი. მოწყობილობა შეწყვეტს გაცხელებას.

1. ხმოვანი სიგნალის გამოსართავად დააჭირეთ ნებისმიერ ღილაკს. მოკლე დროის შემდეგ, სიგნალი ავტომატურად დასრულდება.
2. ფუნქციის ამომრჩეველი ნულოვან პოზიციაზე დააყენეთ.

## 10 დაცვა ბავშვებისგან

დაბლოკვით მოწყობილობა, რათა ბავშვებმა შემთხვევით არ ჩართონ მოწყობილობა ან შეცვალონ მისი პარამეტრები.

თუ ღუმელთან შეერთებულია კონფორი, კონფორი არ დაიბლოკება.

### 10.1 ბავშვთა უსაფრთხოების ბლოკირების აქტივაცია

**მოთხოვნა:** ხანგრძლივობა და დასრულება არ არის დაყენებული.

- ▶ დააჭირეთ ☹ და გააჩერეთ დაჭერილ მდგომარეობაში დაახლ. 4 წამი.
- ✓ **SFFF** მაჩვენებელზე გამოჩნდება.

### 10.2 ბავშვების უსაფრთხოების ბლოკირების დეაქტივაცია

- ▶ დააჭირეთ ☹ და გააჩერეთ დაჭერილ მდგომარეობაში დაახლ. 4 წამი.
- ✓ მაჩვენებელზე ჩაქვრება **SFFF**.

## 11 წმენდა და მოვლა

იმისათვის, რომ თქვენმა მოწყობილობამ ხანგრძლივად და სრული ფუნქციონალით შეძლოს მუშაობა, წმენდა და მოვლა აუცილებელია.

### 11.1 საწმენდი საშუალება

მოწყობილობის სხვადასხვა ზედაპირების დაზიანების თავიდან ასაცილებლად, გამოიყენეთ მხოლოდ შესაბამისი საწმენდი საშუალება.

#### ⚠ გაფრთხილება – ელექტრული შოკის საშიშროება!

სინოტივის შეჭრას, ელექტრო შოკის გამოწვევა შეუძლია.

- ▶ დანადგარის საწმენდად არ გამოიყენოთ ორთქლით მწმენდავი ან მაღალი წნევით საწმენდი საშუალებები.

#### ყურადღება!

შეუსაბამო საწმენდ საშუალებებს შეუძლია მოწყობილობის ზედაპირის დაზიანება.

- ▶ ნუ გამოიყენებთ ბასრ ან აქაფებად საწმენდ საშუალებებს.

- ▶ ნუ გამოიყენებთ ძლიერ ალკოჰოლურ გამწმენდ საშუალებებს.
- ▶ ნუ გამოიყენებთ მყარ სახეხებს ან ღრუბლებს.
- ▶ არ გამოიყენოთ სპეციალური საწმენდი საშუალება ცხელი მდგომარეობაში.
- ▶ გამოიყენეთ მინის საწმენდი საშუალება, მინის ზედაპირის საფხეკი ან უჟანგავი ლითონით დამზადებული საგნების მოვლის საშუალება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს რეკომენდირებულია შესაბამისი დეტალის წმენდის მითითებაში.

ცხელ ღუმელში ქურის საწმენდი საშუალების გამოყენება იწვევს მინაწკრის დაზიანებას.

- ▶ არასოდეს გამოიყენოთ თბილ ღუმელში ქურის საწმენდი საშუალებები.
- ▶ შემდგომ გაცხელებამდე საფუძვლიანად მოაშორეთ ღუმელიდან და მოწყობილობის კარიდან ნარჩენები.

ახალ ღრუბელში მარილების ნაწილაკებს შეუძლიათ დააზიანონ ზედაპირები.

- ▶ გამოიყენებამდე სარეცხი ჩვარი საფუძვლიანად გარეცხეთ.

## 11.2 შესაბამისი საწმენდი საშუალება

გამოიყენეთ მხოლოდ შესაბამისი საწმენდი საშუალებები თქვენი მოწყობილობის სხვადასხვა ზედაპირების საწმენდად.

### მოწყობილობა გარედან

დაიცავით მოწყობილობის გაწმენდის ინსტრუქცია.

არე	შესაბამისი საწმენდი საშუალება	მითითება
უჟანგავი ფოლადის პანელი	<ul style="list-style-type: none"> <li>ცხელი სარეცხი საშუალება</li> <li>უჟანგავი ლითონის მოვლის სპეციალური საშუალებები გაცხელებული ზედაპირების გასაწმენდად</li> </ul>	კოროზიის თავიდან აცილების მიზნით, იმწამსვე მოაცილეთ ცარცის, ცხიმის, სახამებლის და კვერცხის ცილის ლაქები უჟანგავი ფოლადის ზედაპირებიდან. უჟანგავი ფოლადის მოვლის საშუალება წაუსვით თხელ ფენად.
საკონტროლო პანელი	ცხელი სარეცხი საშუალება	გაავლეთ სარეცხი ჩვარის მეშვეობით და შემდეგ ის რბილად გაამშრალეთ. არ გამოიყენოთ შუშის საწმენდები ან საფხეკები.
კარის შუშები	ცხელი სარეცხი საშუალება	გაავლეთ სარეცხი ჩვარის მეშვეობით და შემდეგ ის რბილად გაამშრალეთ. არ გამოიყენოთ საფხეკი შუშის საფარებისთვის ან უჟანგავი ლითონის ღრუბელი.
კარის სახელოური	ცხელი სარეცხი საშუალება	გაავლეთ სარეცხი ჩვარის მეშვეობით და შემდეგ ის რბილად გაამშრალეთ. ლაქების თავიდან ასაცილებლად, რომელთა მოშორება შეუძლებელია, დაუყოვნებლივ გაწმინდეთ მინადულის მოსაშორებელი საშუალება კარის სახელოურზე მოხვედრისას.

### მოწყობილობა შიგნიდან

არე	შესაბამისი საწმენდი საშუალება	მითითება
ემალის ზედაპირი	<ul style="list-style-type: none"> <li>ცხელი სარეცხი საშუალება</li> <li>ძმრიანი წყალი</li> <li>ლუმელის საწმენდი საშუალებები</li> </ul>	<p>გაავლეთ სარეცხი ჩვარის მეშვეობით და შემდეგ ის რბილად გაამშრალეთ. დააღბეთ მიმწვარი საკვების ნარჩენები რბილი ნაჭრით საპნიანი ხსნარით. ძლიერი დაბინძურებისას, უჟანგავი ფოლადის სახეხი სპირალი ან ლუმელის საწმენდი გამოიყენეთ. ლუმელი გაწმენდის შემდეგ გასაშრობად ღიად დავტოვოთ.</p> <p><b>შენიშვნა:</b> პროდუქტის ნარჩებისაგან შეიძლება თეთრი ლაქები წარმოიქმნას. ეს ნაღბები სახიფათოა ჯანმრთელობისთვის და არ მოქმედებს მოწყობილობის ფუნქციებზე. ნაღბები შეგიძლიათ მოაშოროთ ლიმონმჟავით.</p>
თვითმწმენდი ზედაპირები		<p>ყურადღება მიაქციეთ, ცრილის ბოლოს, ლუმელის ზედაპირთან დაკავშირებულ მითითებებს.</p> <p>→ "თვითმწმენდი ზედაპირების გაწმენდა", გვერდი 17</p>
ლუმელის განათების შუშის საფარი	<ul style="list-style-type: none"> <li>ცხელი სარეცხი საშუალება</li> <li>ლუმელის საწმენდი საშუალებები</li> </ul>	გაავლეთ სარეცხი ჩვარის მეშვეობით და შემდეგ ის რბილად გაამშრალეთ. ძლიერად დასვრის შემთხვევაში გამოვიყენოთ ლუმელის საწმენდი.
კარის შუშები	ცხელი სარეცხი საშუალება	<p>გაავლეთ სარეცხი ჩვარის მეშვეობით და შემდეგ ის რბილად გაამშრალეთ.</p> <p>არ გამოიყენოთ საფხეკი შუშის საფარებისთვის ან უჟანგავი ლითონის ღრუბელი.</p> <p><b>რჩევა:</b> კარის შუშების წმენდა რეკომენდირებულია სამუშაო კამერასთან ერთად.</p> <p>→ "ლუმელის გაწმენდა", გვერდი 16</p>

არე	შესაბამისი საწმენდი საშუალება	მითითება
კარის იზოლაცია	ცხელი სარეცხი საშუალება	საწმენდი ჩვარით გაწმენდა. არ გაწმინდოთ და არ მოხსნათ კარის შემამჭიდროებელი.
უქანგავი კარის საფარი	უქანგავი ფოლადის საწმენდი საშუალება	ყურადღება მიაქციეთ მწარმოებლის მითითებებს. არ გამოიყენოთ შუშის საწმენდები ან საფხეკები. არ გამოიყენოთ უქანგავი ლითონის მოვლის საშუალებები. <b>რჩევა:</b> უკეთესია, რომ მოხსნათ კარის დამცველი პანელი.
